კონფიდენციალურობის პოლიტიკა

i. შესავალი

შპს „ჯიაიჯი ჰოლდინგი“ (შემდგომში - *„ჰოლდინგი“* / *„ჩვენ“*) აფასებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gig.ge) ყველა დაინტერესებული პირის ვიზიტსა და ინტერესს „ჰოლდინგისა“ და მასთან დაკავშირებული კომპანიების მიმართ. თქვენი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რათა ვებგვერდით სარგებლობისას თავს გრძნობდეთ კომფორტულად. ჩვენ ვუფრთხილდებით და ვიცავთ თქვენ მიერ მოწოდებულ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომელთა შეგროვება, დამუშავება და გამოყენება ხდება ვებგვერდზე თქვენი ვიზიტის განმავლობაში.

ვებგვერდით სარგებლობისას თქვენ მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენების წესები განსაზღვრულია წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, რომელიც შემუშავებულია და შესაბამისობაშია ჰოლდინგსა და მასთან დაკავშირებულ კომპანიებში დანერგილ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკასთან, რომელიც თავის მხრივ შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს განახლებული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ვებგვერდზე შემოსვლით თქვენ ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას (შემდგომში - *„პოლიტიკა“*). თუ თქვენ არ ეთანხმებით პოლიტიკის შინაარსს და არ გსურთ ვებგვერდით სარგებლობისას ჩვენ მიერ განხორციელდეს თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გამოყენება, გთხოვთ, არ განაგრძოთ ვებგვერდით სარგებლობა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პოლიტიკა შესაძლებელია განახლდეს პერიოდულად. პოლიტიკის განახლებული ვერსია განთავსდება ვებგვერდზე, ხოლო განახლების თარიღი განსაზღვრული იქნება მის ბოლო აბზაცში.

ii. პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ თქვენ შესახებ

პერსონალურ მონაცემს განეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება.

ჩვენ, შესაძებელია, შევაგროვოთ, დავამუშავოთ და პოლიტიკის მიზნების შესაბამისად გადავცეთ მესამე პირებს თქვენ მიერ მოწოდებული შემდეგი პერსონალური მონაცემი:

- თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- სახელი / გვარი;
- ტელეფონის ნომერი;
- ნებისმიერი სხვა, თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, საოპერაციო სისტემა და ვებბრაუზერი, საიდანაც ხდება ვებ-გვერდზე თქვენი შემოსვლა;
- ვებგვერდზე ვიზიტთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ვიზიტის ადგილის, ხანგრძლივობის და ვებგვერდზე განხორციელებული ქმედებების შესახებ.

თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება იმ გზით, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოახდინოს თქვენი იდენტიფიცირება იმ მიზნებისთვის, რომლისთვისაც მოხდა პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

iii. „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) გამოყენება

„მზა-ჩანაწერები“ არის მცირე ზომის ტექსტური ფაილი, რომელიც ინახება თქვენს მოწყობილობაში, როდესაც სარგებლობთ ჰოლდინგის ვებგვერდით. „მზა - ჩანაწერების“ გამოყენება უზრუნველყოფს თქვენ მიერ ვებგვერდით სარგებლობის შესაძლებლობას და ამარტივებს ვებგვერდზე მუშაობას. „მზა - ჩანაწერის“ საშუალებით თქვენი ვებბრაუზერი იმახსოვრებს მომხმარებლის სახელს. შესაბამისად, ვებგვერდით ყოველი სარგებლობისას აღარ გჭირდებათ მისი ხელახლა მითითება. ასევე, მათი საშუალებით ინახება ინფორმაცია ვებგვერდზე ვიზიტორის მიერ არჩეული ენის, შრიფტის ზომის / ფერის შესახებ, რაც ამარტივებს ვებგვერდით სარგებლობას და მეტად კომფორტულს ხდის აღნიშნულ პროცესს.

ჩვენ ვიყენებთ Google Analytic-ს, რომელიც გვეხმარება მივიღოთ ვებგვერდის ვიზიტორებთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემები. ამასთან, მისი წაშლა შესაძლებელია უშუალოდ ელექტორნულ მოწყობილობაში ჩაწერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან - „მზა-ჩანაწერების“ წაშლის მეთოდით.

iv. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების გზები

ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური ინფორმაციის შეგროვება ხდება ვებგვერდზე უშუალოდ თქვენ მიერ განხორციელებული ინტერაქციიდან გამომდინარე. თქვენ მიერ ვებგვერდის გამოყენებისას შესაძლებელია მოგვაწოდოთ პერსონალური ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმოწერის ან სატელეფონო გზით კომუნიკაციისას და სხვ.

v. რა მიზანს ემსახურება პოლიტიკა და რა არის მისი მოქმედების სფერო

ჰოლდინგი იცავს იმ პირების პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც სარგებლობენ ვებგვერდით. შესაბამისად, ჩვენ შევიმუშავეთ წინამდებარე პოლიტიკა იმის აღსაწერად, თუ რა სახის ინფორმაცია როგორ შეგროვდება ვებგვერდის ვიზიტორებისაგან და ასევე, იმ მიზნების განსასაზღვრად, რომლის მისაღწევადაც ჰოლდინგმა შესაძლოა შეაგროვოს, გადასცეს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული მონაცემები. ამასთან, ჩვენ განვსაზღვრავთ ყველა შესაძლო გონივრულ ზომას, რომელიც საჭიროა თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვისათვის.

ჰოლდინგი გამოიყენებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს:

- ვებგვერდის ტექნიკური ადმინისტრირებისა და განვითარების მიზნებისათვის;
- მარკეტინგული მიზნებისათვის;
- ჰოლდინგის სხვა ელექტრონულ არხებთან მიმართებით, ზემოაღნიშნული მიზნებისთვის;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისთვის.

vi. პერსონალური ინფორმაციის მესამე პირთათვის გადაცემა

ჰოლდინგმა შესაძლოა თქვენი ინფორმაცია გადასცეს მასთან დაკავშირებულ პირებს ან მისთვის სერვისის მომწოდებელ მესამე პირებს ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ჩვენთან დაკავშირებულ პირებს და სერვისის მომწოდებელ მესამე პირებს, რომლებსაც ჰოლდინგის ვებგვერდის მეშვეობით მოპოვებულ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ, გააჩნიათ მიღებული მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

ამასთან, თქვენგან მიღებული პერსონალური ინფორმაცია შესაძლოა გადაეცეს სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს ან ნებისმიერ სხვა პირს, მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო განჩინების საფუძველზე და მიზნების შესაბამისად ან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წარმართული ნებისმიერი მსგავსი პროცესის საფუძველზე.

vii. უსაფრთხოების ზომები ვებგვერდის მეშვეობით მოპოვებული თქვენი ინფორმაციის დასაცავად

ჰოლდინგმა მიიღო შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ვებგვერდის ვიზიტორების პერსონალური მონაცემების დაცვას შემთხვევითი და უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ამასთან, ჰოლდინგის მიერ პერსონალური მონაცემების შენახვა ხორციელდება იმ ვადით, რაც საჭიროა იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლისთვისაც ისინი შეგროვდა/დამუშავდა.

viii. ვებგვერდის ვიზიტორთა უფლებები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თქვენ უფლებამოსილი ხართ:

- გადაამოწმოთ ვინახავთ თუ არა თქვენს პერსონალურ მონაცემებს;
- გვთხოვოთ ჩვენთან დაცული თქვენი პერსონალური მონაცემების ასლის გადმოცემა; ან
- მოითხოვოთ ჩვენთან დაცული თქვენი პერსონალურ მონაცემებში უსწორობის აღმოფხვრა.

ვებგვერდზე ვიზიტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რის თაობაზეც მან წერილობით უნდა აცნობოს ჰოლდინგს ვებგვერდზე მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნულის შემდგომ ჰოლდინგი შეწყვეტს თქვენი შესაბამისი პერსონალური მონაცემების დამუშავებას, თუ კანონმდებლობის მოთხოვნები სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ვებგვერდზე ვიზიტორის მიერ გაცხადებულ უარს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე არ აქვს უკუქცევითი ძალა.

თქვენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რაიმე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვწეროთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: Info@gig.ge

პოლიტიკის დამტკიცების თარიღი: 10 სექტემბერი, 2024 წელი.